[illegible] მანეთი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

# კომუნისტი

ტფილისი.

რედაქციის მისამართი
ტფილისი, [illegible] ქუჩა, № 4. ტელეფონები: [illegible] 14—76. სტამბის [illegible]
რედაქცია ღია ყოველ დღე დილის 10-დან [illegible] კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

ოთხშაბათი, 22 ივნისი 1921 წ.

№ 89 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 89

## პროფკავშირების კონფერენცია

ქართველმა მენშევიკებმა შარშან ზაფხულს გადასწყვიტეს საბჭოთა რუსეთის დასაზვერავად ჟუშების დელეგაციის გაგზავნა. ამ დელეგაციაში მათ ადგილი მიუჩინეს ისეთ „მუშურ“ პარტიებსაც, როგორც იყვნენ დაშნაკელები, ფედერალისტები, ქართველი ესერები, ხოლო არც ერთი ადგილის დათმობა არ ინებეს კომუნისტებისთვის, რომლებსაც მათი ფიცით ვითომ არავითარი გავლენა არ ქონდათ მუშათა მასსებში.

როცა ნ. ჟორდანია სახალხო სახლში გაბერილი ფრაზებით უმაქანძლდებოდა თავის მოყვითალო სტუმრებს—ვანდერველდეს, რენოდელს და სხ.,—მან პირმოთნედ მიმართა დარბაზს და სულგრძელად ნება დართო კომუნისტებს გამოსულიყვენ და სიტყვა ეთქვათ, თუმცა ამ დროს კომუნისტები ასობით ციხეებში ჰყვენ გამოკეტილი, და ვინც თავისუფალი იყო იმ ჟამათ, დარბაზში ვერ შეჰგო თავი. დღეს, როცა დასრულდა საქართველოს პროფესიონალ კავშირების პირველი, ჭეშმარიტად თავისუფალი კონფერენცია, ბრმაც კი ხედავს, თუ რომელ პარტიას ქონებია სასიცოცხლო ფესვები გადგმული მშრომელთა მასსებში. დღეს აშკარა და უდაოა, რომ პროლეტარული პარტია კომუნისტების ყოფილა და არის იდეიური ხელმძღვანელი პროფესიონალურ საწარმოო კავშირების, რომ ამ პარტიას უცილობელი გავლენა მოუპოვებია მწარმოებელთა უფართოეს მასსაში, რომ კომუნისტური პარტია არის ერთად-ერთი გამომხატველი რევოლიუციონური მუშათა რევოლიუციონური ინტერესების. ამით ერთხელ და სამუდამოთ ბოლო ეღება ჩვენი მტრების ცრუ უფიცს ჩვენს უნიადაგობაზე, ბოლო ეღება იმ პირმოთნეობით აღსავსე დებულებას, რომელსაც ხელს სჭიდებენ ყველა ქვეყნის სოციალ-გამცემლები, და მათ შორის ჩვენი ყვითელი „სოციალისტებიც“, და რომელიც ღაღადებს და მოსთქვამს პროფესიონალურ მოძრაობის პოლიტიკურ ნეიტრალობაზე: მშრომელთა მოძრაობა არ შეიძლება იყოს აპოლიტიური, არ შეიძლება იყოს ჩვენ დროის პირობებში არა რევოლიუციონური. ხოლო მშრომელთა რევოლიუციონურ მოძრაობის ერთად-ერთი და საუკეთესო ხელმძღვანელი და მასწავლებელი იყო და არის მარტო კომუნისტური პარტია, მდგომი პროლეტარიატის დიქტატურის და საბჭოთა ძალაუფლების ნიადაგზე. ეს გაკვეთილი მოგვცა საქართველოს პროფ. კავშირთა ეხლახან დასრულებულმა კონფერენციამ.

დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწია ამ კონფერენციამ. მის ნამუშევარის შესასწავლად საკმაო არ არის საგაზეთო წერილი, ან ზერელე გაცნობა იმ დასაბუთებულ რეზოლიუციების, რომელიც მან გამოიტანა ხანგრძლივი, სერიოზული მსჯელობის და აწონ დაწონის შემდეგ. აუცილებელია გაცნობა და შესწავლა კონფერენციის მუშაობისა საერთოდ და მთლიანად. და მაშინ ყოველი პატიოსანი მშრომელი, ყოველი პოლიტიკურად გათვითცნობიერებული ადამიანი დაინახავს, რომ საქართველოს მუშათა სინამდვილეში ადგილი არ ქონია არასოდეს მზგავსს მოვლენას, ასეთი თავისუფალ ატმოსფერაში წარმოებულ და ასე ნაყოფიერად დამთავრებულ ყრილობას მშრომელთა წარმომადგენლებისას.

ის მოთმენა და სულგრძელობა მოწინააღმდეგეთადმი, რომელთაც კამათის შეწყვეტის შემდეგაც კი კონფერენციის უმრავლესობა აძლევდა სიტყვას, ის სერიოზული საქმიანობა, რომლითაც აღბეჭდილი იყო კონფერენციის თუ კომუნისტური ფრაქციის ყოველი სხდომები, ის ცხოველი ინტერესი, რომელსაც იჩენდა კონფერენციის ხელმძღვანელი უმეტესობა საჭირბოროტო საკითხების გარჩევის დროს ყველა ეს მოწმობს, რომ ჩვენი პროფესიონალური მოძრაობა უკვე ასულა იმ დონემდე, რომელზედაც უნდა იდგეს თითიეული ფრთა იმ რევოლიუციური პროლეტარული ლაშქრის, რომელსაც ეწოდება საერთაშორისო პროლეტარიატი. საორგანიზაციო საკითხები, საკითხი წარმოებაში ჩაბმის და წარმოების აღორძინების და გაჩაღების, საკითხი ტარიფების და მშრომელთა უზრუნველყოფის, და ბოლოს, საკითხი პროფესიონ. მოძრაობის გაერთიანების საბჭოთა რესპუბლიკებში და იმავე დროს საერთაშორისო წითელ პროფკავშირთა ოჯახში შესვლისა—ყველა ეს იქნა აწონილ-დაწონილი, გაშუქებული და გადაწყვეტილი ისე, როგორც შეეფერება ნამდვილ რევოლიუციონურ მოძრაობას. ამავე რიგის იყო ის გარეგნულათ უმნიშვნელო, მაგრამ ღრმა სიმბოლიური მნიშვნელობის მატარებელი აქტი, რომლითაც კონფერენციამ დაამთავრა თავისი მუშაობა; ის დემონსტრაციით გაემართა სასახლისაკენ და ყოფილი დამფუძნებელ კრების დარბაზი აახმაურა ნამდვილი მუშური ჰანგებით, რასაც თან მოჰყვა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ემბლემის ჩამოხსნა და მის ნაცვლად პროლეტარული სახელმწიფოს ღერბის მიმაგრება: ქართველმა მუშამ ისტორიულ მუზეუმში გააგზავნა სამფეროვანი დროშა და ღერბი შოვინიზმისა და ნაცვლად ააფრიალა დროშა ინტერნაციონალიზმის, ამოაბრწყინა წითელი ვარსკვლავი საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობის და ძმობა—ერთობის. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მშრომელთა დიქტატურას საქართველოში აქვს მტკიცე, ურყევი საძირკველი, რომელზედაც შენდება მუშურ-გლეხური საბჭოთა რესპუბლიკა. კონფერენციამ ცხადჰყო ეს.

მაშ იმავე გზით იმავე მიზნისაკენ!

კიდევ მეტი შრომა და ენერგია!

აწმყო ჩვენია,—მუშების და გლეხების, ჩვენი იქნება მომავალიც: ბრწყინვალე და ბედნიერებით აღბეჭდილი!

## თავი აიშვეს!

ჩვენი მუშურ-გლეხური რესპუბლიკის შინაური მტრები ვერ ისვენებენ!

ან კი რა მოასვენებთ: ძალაუფლება მათი ხელიდან გამოცლილი მათთვის უცხო და საწინააღმდეგო განწყობილმა პარტიამ მიიღო.

ამიტომ ცხოვრებამ მათ კითხვა პირდაპირ დაუყენა: ამ პარტიასთან ერთად შეთანხმებით მუშაობა, თუ მასთან მტრული განწყობილების დაჭერა და რესპუბლიკის წინააღმდეგ საბოტაჟის გამოცხადება?

ცხადია ჩვენს წვრილ ბურჟუაზიულ პირობებში მათ საბოტაჟის გამოცხადება არ შეეძლოთ, როგორც ეს რუსეთში მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიის გამომხატველმა ინტელიგენციამ მოიმოქმედა; განსაკუთრებით არ შეეძლო ეს იმ „პროლეტარულ ინტელიგენციას“, რომელიც, ჩვენში, თუმცა მრავალ რიცხოვანია, მაგრამ წვრილბურჟუაზიულ—უტოპიური იდეოლოგიით საკმაოთ არის გაჟღენთილი და ყოველთვის მზათ არის ყოველგვარი წინააღმდეგობა გაუწიოს პროლეტარულ საქმეს... არ შეეძლო სწორეთ მისი „პროლეტარული“ ეკონომიური მდგომარეობის გამო.

ამნაირათ ჩვენს „პროლეტარულ ინტელიგენციას“ არც შესწევს ძალა, რომ პირდაპირ საბოტაჟი გამოუცხადოს რესპუბლიკას და არც ის ძალუძს, რომ ჭეშმარიტ პროლეტარულ თვალსაზრისზე დადგეს. აი რაშია მისი ჭაპანწყვეტა და გასაჭირი.

ამით აიხსნება ის შეფარავი მეთოდი, რომელსაც ის აწარმოებს ყოველ დარგში, განსაკუთრებით პრესაში და ხელოვნებაში და რაც ჩვენის აზრით აშკარა მტრულ განწყობილებაზე უარესია და მავნებელი რესპუბლიკისათვის.

რესპუბლიკის დაწესებულებები სავსეა ასეთი მოსამსახურეებით, ხოლო საქმე კი ამ დაწესებულებებში უძრავათ ძევს, მსვლელობა არ ეძლევა მას, იმავე კორიდორებში კი მრავლათ ნახავთ უქმათ მოფუსფუსე და მოხეტიალე მოსამსახურეებს. ბევრი მათგანი ზოგჯერ სულაც არ ცხადდება სამსახურის ალაგას და რომ ჰკითხოთ მიზეზი, მაშინვე ეკონომიურ მდგომარეობაზე მიგითითებთ და სოფლისაკენ უჭირავს თვალი: სად ალბათ „მამა-პაპეული“ ცოტა რამ კერძო საკუთრება კიდევ ეგულება.

საბჭოთა საქართველოს რევოლიუციური მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ძველი დამსახურებული ხელოვანები და რესპუბლიკისთვის გამოსადეგი ინტელიგენტები ყოველ მხრივ უზრუნველ ჰყოს და დააჯილდოვოს რამდენათაც კი მას ამის ნებას შექმნილი პირობები აძლევს.

მაგრამ უმადურთ და „ბედით უკმაყოფილოთ“ რა დააკმაყოფილებს, ან მათ გატეხილ გულს რა გაამთელებს? მრუდეთ და ყალბათ შეთვისებულ აზრს, უსაფუძვლო ცრუ რწმენას თავიდან რა გამოუღებთ?!

„კუზიანს მხოლოთ სამარეასწორებს“, აი ჩვენი პასუხი ამ კითხვებზე!

დღიდან ჩვენში რევოლიუციური მთავრობის გამოცხადებისა ჩვენს ხელოვნებას იმდენათ ფართე გზა გაეხსნა, ისეთი „თავისუფლება“ მიენიჭა, რომ აქ, ამ სფეროში „შაბლონზე“ ლაპარაკი სრულიათ ჟალაგო და უსაბუთო იქნებოდა. ყველა შეამჩნევდა, რომ ეს სამი თვეა, რაც ქართულ ნაციონალისტურ პოეზიაში (თეატრი, წიგნი, გაზეთი და ჟურნალი) ერთი საშინელი შოვინისტური ვაკხანალიაა გამართული. მოიგონეთ თეატრებში განუწყვეტლივ „ღალატის“, „სამშობლოს“ და ამისთანა პიესების დადგმა. ოპერაში „კოტე და ქეთოების“, „არშინ მალ-ალანების“ და სხვა გამრყვნელ მუსიკის ჟრიამული. მოიგონეთ „პოეზიის დღე“ და იქ ნაციონალისტ მგოსნების „ბუზღუნი“ სამშობლოზე, მოიგონეთ გრიშაშვილის და გალაკტიონის „უკვდავი სალამოები“, რომლითაც მათ ჩვენი „საზოგადოების“ უსაქმურ ნაწილს ისედაც აშლილი ნერვები გაუღიზიანეს და ჩვენს სამტროთ მომართეს. ეს ჩინებული აგიტაციაა ჩვენი აშკარა მტრების სასარგებლოთ გაწეული და ამის შემდეგ კიდევ შეიძლება ითქვას ჩვენს აუტანლობაზე, ჩვენ მიერ „თავისუფლების“ შეზღუდვაზე?

რომ არა, ეს ყველასთვის აშკარაა, მარა აბა ჰკითხეთ ჩვეულებრივ ჩვენდამი მტრულათ განწყობილ უმადურ მოქალაქეს და მაშინვე მისგან მხოლოთ ერთს მოისმენთ: „თქვენ თქვენს სიტყვას არ ასრულებთ, თქვენ ამნისტიას არ იცავთ და მენშევიკებს ციხეებში გზავნით, ეს როგორ შეიძლება: თუ არაფერი დაუშავებიათ, რას ერჩით“ და სხვა.

ამ ვაჟბატონებს სურთ, როგორც ეს ეთიურ პრინციპს მოკლებულ პირებს სჩვევიათ ხოლმე, ისარგებლონ მოწინააღმდეგის პატიოსნებით, დიდსულოვნობით და თავიანთი ღვარძლიანი საქმე ჩვენივე ხელით გაიჩარხონ.

რას მივაწეროთ ის თავხედობა და ბლვირ წ ხსნილობა, რომლითაც დღეს „სოციალისტ-ფედერალისტის“ ფურცლებზე მოქალაქე მგოსანი გრიშაშვილი „ქარაგმებითაც“ და უქარაგმოთაც გვამასპინძლდება. რას ნიშნავს იმავე №-ში მოთავსებული შენიშვნა ვინმე გრ. ლორთქიფანიძისა, რომელსაც ჩვენი რევოლიუციური მთავრობის პოლიტიკაში „რუსული შაბლონის“ მეტი ვერაფერი დაუნახავს?!

მხოლოდ იმას,—რომ ამ გაუსწორებელი კუზით შეპყრობილ მოქალაქეთ „ასხენ ყურნი—იმიტომ, რომ არაფერი ისმინონ და „აქვთ თვალნი“ იმიტომ, რომ არაფერი დაინახონ!

რა გაეწყობა! ჩვენ ვივლით ჩვენი გზით, ისტორიით გაკაფული გზით და თუ ამ გზიდან ეს ჩუმი მოღალატენი და გაუსწორებელი კუზიანები, ჩვენი ხალხის მეტხორცნი უფსკრულში გადაიჩეხებიან, ამის მიზეზი მხოლოთ ის იქნება, „რომ დღეს საქართველო ის როდია, რაც იყო წინათ: ახალმა ძალამ ძველი ძალა მოსპო, ალაგმა!..“

რ. ქ.

## საბჭოთა რუსეთში

**გრუზროსტას დეპეშები.**

### პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო საბჭო

**მოსკოვი** 1 ივნისი. ამ ლოზოვსკიმ განაცხადა რომ დღეს რუსეთში მოწვეულ საერთაშორისო კომუნისტურ პროფესიონალურ კავშირში ირიცხება 14 მილიონ მომხრეზე მეტი.

### კომინტერნის კონგრესის გახსნა

**მოსკოვი** 15 ივნისი. (რადიო) მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმმა კომინტერნის მესამე კონგრესის გახსნის პატივსაცემლად დაადგინა: პარასკევი ივნისის 17 უქმედ გამოაცხადოს. პარასკევს წითელ მოედანზე მოსკოვის გარნიზონის ჯართა აღლუმი გაიმართება.

მუშათა და გლეხთა პარტიის ყველა პარტიულ კომიტეტთ და პოლიტიკურ განყოფილებათ შემოსული შეკითხვების გამო, რომელნიც 3 კონგრესის დღესასწაულის ხასიათს ეხებიან, მუშათა და გლეხთა პარტიის ცენტრალური კომიტეტი წინად დებას აძლევს კონგრესის გათავების შემდეგ უახლოეს დღეებში გამართოს კრებები, განახილავად კომუნისტური ინტერნაციონალის მნიშვნელობისა და მორიგი საკითხებისა, რომელნიც მთელი ქვეყნის კომუნისტურ პარტიათა წინაშე სდგანან. საგიტაციო მასალად გამოდგება ამხ. რადეკის მოხსენება მუშათა და გლეხთა პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენციაზე: ეს მოხსენება მოთავსებულია „პრავდაში და ჟურნალ“ კომუნისტური ინტერნაციონალი“-ს მე-16 ნომერში.

### ბაქტერიოლოგების ყრილობა.

**მოსკოვი.** 2 ივნისი. მოსკოვში გაიხსნა მე-5-თე ყრილობა სრულიად რუსეთის ბაქტერიოლოგების და ეპიდემიოლოგებისა. ყრილობა გახსნა სახალხო ჯანმრთელობის კომისარმა ამხ. სემაშკომ, რომელმაც სხვათა შორის აღნიშნა, რომ რუსეთში დიდი საფრთხის ხასიათს ღებულობს მალარია, რომელიც გავრცელდა ასეთ ადგილებშიც, სადაც იგი უწინ არ იყო შემჩნეული. მაგალითად რუსეთის ცენტრში და ჩრდილოეთშიც.

### ქალთა საერთაშორისო კონფერენცია.

**მოსკოვი.** 12 ივნისი. (რადიო). სხდომა იწყება 11 საათზე, მისალმებით გამოდის პოლონეთის კომუნისტურ პარტიის დელეგატი კომუნისტების მე 3 კონგრესზე. ორატორი აღნიშნავს, რომ პოლონეთში ქალთა ორგანიზაციის მუშაობას წინ ეღობება პოლონეთის კომუნისტურ პარტიის არალეგალური მდგომარეობა და გამოსთქვამს დიდ სურვილს, რომ ქალები ჩაებან უებარ ბრძოლაში პროლეტარიატის დიქტატურის მოსაპოებლათ. რადგანაც ჰმათ მონაწილეობის მიუღებლათ მიზანს ვერ მივაღწევთო.

ამხ კოლონტაი კითხულობს მოხსენებას ქალთა შორის მუშაობის ფორმებსა და მეთოდზე. ამ ჟამად მასსათა აღზრდა უნდა იყოს მათი მიზანი, მუშა ქალებისათვის ეს უმთავრესია. მთავარი მტერი ეს არის ქალის პასიობა. ქალთა შორის მუშაობას ყველა კომუნისტურმა პარტიამ არსებითი ყურადღება უნდა მიაქციოს. ამხ. კოლონტაი ასე განსაზღვრავს ქალთა განყოფილების დანიშნულებას: 1. ქალების ჩაბმა კომუნისტურ პარტიაში, 2. აქტიობის გაღვიძება პროლეტარ და ნახევრად პროლეტარ ქალთა შორის, 3. ყველა ქალის განთავისუფლება ოჯახურ და სხვა დამონავებისაგან. კაპიტალისტურ ქვეყნებში საჭიროა ბრძოლა პოლიტიკურ ძალა უფლებისათვის და ქალებმა უნდა ისარგებლოთ თავის მონაწილეობით პარლამენტებში, მუნიციპალიტეტებში და ყველგან, სადაც შესაძლოა, რპოლეტარიატის კონკრეტიულ საჭიროებათა პლატფორმაზე გააწყვიონ კლასიური წინააღმდეგობანი და ამხილონ სოციალ პატრიოტები. აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც ქალები განსაკუთრებულ პირობებში იმყოფებიან, საუკუნოებრივ მონობის უღელ ქვეშ, საჭიროა ვისარგებლოთ ცხოვრების უმნიშვნელო შემთხვევებით, რათა აღმოსავლეთის ქალი გამოფხიზლდეს და ჩაებას კომუნისტურ იდეათა წრეში. საჭიროა დიდი კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა.

დაასრულა რა თავისი მოხსენება, ამხ. კოლონტაი აღნიშნავს, მორიგი საკითხია, რომ კომუნისტური პარტიები გაბატონდენ პროფკავშირებში და ჩააბან ისინი მე-3 ინტერნაციონალში.

## საზღვარ გარეთ

**გრუზროსტას დეპეშები.**

### ახლო აღმოსავლეთის პრობლემა

**ლონდონი.** 16 ივნისი (რადიო) ახალ-შენების მინისტრმა ჩერჩილმა განაცხადა თემთა პალატაში, რომ საჭიროა შერიგების პოლიტიკას დავადგეთ ოსმალებისა და არაბების მიმართ. ინგლისმა მკვიდრი შეთანხმება უნდა დადოს ოსმალეთთან.

### ზომები ბოლშევიკების წინააღმდეგ

**მოსკოვი.** 1 ივნისი. გაზეთი „მექსიკა“ იუწყება, რომ საელჩოს ამერიკის მრჩეველმა პრეზიდენტს განცხადებით მიმართა, რომ ვაშინგტონში გავრცელებულია საშიში ხმები, ბოლშევიკების მოქმედებით გამოწვეული, რომელნიც მიღებულ ცნობათა თანახმათ ემზადებიან მექსიკაში გამოსასვლელად. პრეზიდენტმა უპასუხა, რომ მან მიიღო ზომები უკადრისთა პროპაგანდის წინააღმდეგ.

### სპეკულიანტები ბერლინში.

**ნიუ-იორკი.** 15 ივნისი. (რადიო) ხოლის გადაჭრით უარჰყოფს იმ ფაქტს, ვითომც ბერლინში მეფობდეს არაჩვეულებრივი ფუფუნება. რესტორანებში, თეატრებში და კინემატოგრაფებში უმთავრესათ სპეკულიანტები დადიან, რომელნიც ძლიერ მოსწონთ გერმანელებს, ბერლინის ჩვეულებრივ ცხოვრების შედარებაც კი არ შეიძლება იმ ფუფუნებასთან, რომელიც მეფობს ლონდონში, ნიუ-იორკში და პარიზში, და თუ შეიძლება ბერლინის ცხოვრების შედარება, რომელიმე უცხო ქალაქის ცხოვრებასთან, ყოველ შემთხვევაში ინგლისის ან ამერიკის მესამე ხარისხოვან ქალაქის ცხოვრებასთან.

### რევოლიუციონური მოძრაობა ზემო-სილეზიაში.

**ბერლინი.** ზემო სილეზიაში ამჟამათ დაიწყო მუშა-გლეხთა რევოლიუციონური მოძრაობა კაპიტალისტების და მემამულეების წინააღმდეგ. გლეივიცში, ჰინდენბურგში, ცაბორნში, მისმარკსხიტაში შესდგა პოლონელ მუშათა საბჭოები. ზემო-სილეზიის მუშათა საბჭოების ყრილობაზე არჩეულია ცენტრალური საბჭო. მისი სხდომები იმართება ცაბორნაში. ცენტრალურ საბჭოს შემადგენლობაში უმრავლესობას კომუნისტები, დამოუკიდებელ სოც.-დემ. და პ. ს. პ. შეადგენენ. ბევრ ქარხანა ფაბრიკებში მუშებმა დირექტორები გააძევეს, სოფლათ გლეხებმა კი მსხვილ მემამულეთა ტყეები დაინაწილეს.

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### ბრძანება № 66.

**საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტისა.**

1. საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის დადგენილებით ამხ. ალექსი (საშა) გეგეჭკორი განთავისუფლებულია უმაღლესი რევოლიუციონური ტრიბუნალის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

2. უმაღლეს რევოლიუციონურ ტრიბუნალის თავმჯდომარეთ დანიშნულია ამხ. ალექსანდრე ვაშაძე.

საქართ. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომ. თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. ივნისის 18.

ტფილისი-სასახლე.

### ბრძანება № 67.

**საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტისა.**

1. საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის დადგენილებით, ამხ. მამია ორახელაშვილი განთავისუფლებულია განათლების სახალხო კომისარის თანამდებობიდან.

2. საქართველოს ს. ს. რ. რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისრად დანიშნულია ამხ. ალ. თუმანიშვილი.

საქართ. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომ. თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. ივნისის 18.

ტფილისი-სასახლე.

### ბრძანება № 68.

**საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტისა.**

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის დადგენილებით, ამხ. კანდელაკი, ვასილი ვასილის ძე დანიშნულია საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე

ფ. მახარაძე

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. ივნისის 20.

ტფილისი—სასახლე.

### დადგენილება № 29.

**საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა თამასუქებისა და სხვა უდავო ვალდებულებათა განაღდების ვადის გაგრძელების შესახებ.**

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წ. მაისის 24-ს № 19 ს

დადგენილების შესაცვლელად და დასამატებლად, რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

ყველა სათამასუქო ვადათა მ ვლილობა, დაწესებული ყოფ. მთავრობის კანონების თანახმად იმ პირთა სასარგებლოთ, რომელთაც ვალი აქვთ აღებული თამასუქებითა და სხვა უდავო ვალდებულებათა საბუთებით, შეჩერებულ იქნეს იმ დრომდე, სანამ საქართველოში საბანკო ოპერაციები იქნება განახლებული.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. ივნისის 19.

თბილისი სასახლე.

## დადგენილება № 30.

**საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტისა მძარცველობისა და ბანდიტიზმის მოსპობის შესახებ.**

ვინაიდან ამ უკანასკნელ დროს ბნელი ელემენტების მხრივ გ ხშირდა მძარცველობა და ბანდიტიზმი როგორც ქალაქ ტფილისში, ისე რესპუბლიკის სხვა ადგილებში, საქართველოს რევოლიუციონურმა კომიტეტმა დაადგინა:

1. ყოველგვარი მძარცველობისა და ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და მათი განადგურების საქმე უშუალოდ მიენდოს მარტო საქართველოს საგანგებო კომისიას და მის ადგილობრივ ორგანოებს, რომელსაც უფლება მიეცეს ამ ბრძოლის საჭიროებისათვის გამოიყვანოს სისხლის სამართლის მილიცია როგორც ტეხნიკური აპარატი.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე**

1921 წ. ივნისის 19

ტფილისი სასახლე

## ამხ. ვასო აბაშიძის ხსოვნას

კიდევ მსხვერპლი... კიდევ ერთი თავდადებული მებრძოლი გამოაკლდა ჩვენს პარტიას. აღარა გვყავს გულწრფელი, პატიოსნებით აღსავსე, რევოლიუციის ქარ-ცეცხლში გამოწრთობილი ძვირფასი ამხანაგი ვასო.

დაბეჩავებულ, აწიოკებულ და ტვირთმძიმეთა მოამაგე, მათი ტკივილების შემსუბუქებელი, ქვრივ-ობოლთა თვალებიდან ცრემლის მომწმენდი დღეს სამუდამოთ ეთხოვება წუთისოფელს.

სიკვდილმა, ულმობელმა და შავმა სიკვდილმა, მაგრათ ჩასჭიდა თავისი ბრჭყალები და არ მისცა საშუალება განეგრძო ამხანაგ ვასოს მუშაობის ნება გაჭირვებულთა საკეთილდღეოთ. და ეს იმ დროს, როდესაც საქართველოს მუშებსა და გლეხებსა ეღირსათ ნამდვილი თავისუფლება, როდესაც ხალხის ხორცითა და სულით მოვაჭრენი სამუდამოთ გამოეთხოვენ თავიანთ ფუფუნებით და განცხრომით ცხოვრებას, როდესაც ისინი კბილთა ღრჭენით და პირზე დორბლმოსულნი იგონებენ დაკარგულ ბედნიერ ცხოვრებას.

საქართველოს კომუნისტურ პარტიას კიდევ მოაკლდა ერთი მებრძოლი, და ეს იმ დროს, როდესაც ეს პარტია ზეიმობს თავისი გამარჯვების დღეს, როცა ის სახელმწიფოს სათავეში მოქცეული უდგება საკ ცობრიო, მთელი ქვეყნების მუშათა კლასის საოცნებო მომავლის—სოციალისტური წყობილების აშენება განმტკიცებას.

აღარა გვყავს ვასო, ძველი მებრძოლი, მუშათა და გლეხთა ინტერესებისათვის თავდადებული, პატიოსნებით აღსავსე და რევოლიუციის ცეცხლში ნაწრთობი ვასო. საქართველოს მუშებისა და გლეხების მებაირაღტრე კომუნისტური პარტიისათვის მისი დაკარგვა მეტად სამწუხაროა, ვინაიდან ვასოსთანა კომუნისტებით ღარიბია ჩვენი პარტია.

ამხ. ვასო ამ უკანასკნელ ხანებში მუშაობდა გურიაში და მუშაობდა ისე, როგორც შეჰფერის ნამდვილ კომუნისტს. ნაკლები სიტყვა და მეტი საქმე, მეტი პირდაპირობა, მეტი გულწრფელობა, მეტი თავდადება საკაცობრიო ინტერესებისათვის,—აი რით იყო დაჯილდოვებული ამხ. ვასო, და ის უყვარდა ყველას...

აღარა გვყავს ვასო... ის წავიდა და არც დაბრუნდება. მაგრამ მან დასტოვა საქმე, რომლითაც ის სულდგმულობდა. ეს არის საქმე პროლეტარული რევოლიუციისა, მშრომელთა განთავისუფლებისა ყოველგვარი ჩაგვრისაგან. ამ საქმეს ემსახურებოდა ის აჲ ოცი წლის განმავლობაში და ერთხელაც არ უღალატნია მისთვის...

მშვიდობით ამხანაგო ვასო. შენი საყვარელი საქმე მკვიდრ ნიადაგზეა აშენებული, იგი იზრდება, ფართოვდება, მთელ ქვეყანას ედება და შორს არ არის ის დრო, როდესაც მთელ მსოფლიოს მოედება წითელი, პროლეტარული რევოლიუცია.

აწ კი მშვიდობით.

**მერდენი.**

—

სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების კოლეგია თავის თანამშრომლობით უსაზღვრო მწუხარებას გამოსთქვამს ამხ. ვასო აბაშიძის უდროოვოთ დაკარგვით, საბჭოთა ხელის უფლებას მოსწყდა ერთერთი თავდადებული დაუღალავი და არა ჩვეულებრივი საყვარელი თანამშრომელი— გამგე თ. დოლიძე.

## რედაქციისაგან

**ტეხნიკური მიზეზების გამო დღეს გამოდის ჩვენი გაზეთის მხოლოდ ორი გვერდი.**

# ქრონიკა

— **26 მაისის დღესასწაულის მომწყობი კომისიის სხდომა.** ოთხშაბათს, 22 ივნისს, საღამოს 8 საათზე სასახლის ყვითელ დარბაზში დანიშნულია 26 მაისის დღესასწაულის მომწყობი ცენტრალური კომისიის სხდომა, რომელზედაც განხილული იქნება ანგარიშები წარსულ დღესასწაულის მოწყობის შესახებ. კომისიის თავმჯდომარე სთხოვს კომისიის წევრებს აღნიშნულ სხდომას აუცილებლად დაესწრონ.

◆ **ფინანსიური პოლიტიკა.** საქართველოს ს. ს. რ. პრეზიდიუმის სხდომაზე 13 ივნისს, ფინანსიური პოლიტიკის შესახებ შემდეგი დადგენილება იქნა გამოტანილი: ფინანსიური კრიზისის საწინააღმდეგო ზომების გამოსამუშავებლად მოწყობილ იქნეს კომისია, რომელშიც შევლენ: მიწათ-მოქმედების კომისარი—მახარაძე, უმაღლესი სახალხო სასურსათო საბჭოდან—ტოროშელიძე, ფინანსთა სახალხო კომისარი—სვანიძე, სასურსათო სახალხო კომისარი ერქომაიშვილი და რაბინოვიჩი. ამ კომისიას მიეცეს წინადადება 5 დღის განმავლობაში წარმოადგინოს რევკომში საფინანსო—ეკონომიური პოლიტიკის შესახებ შემუშავებული პროექტი. ინიციატივა მიენდოს ფინანსთა კომისარს სვანიძეს

◆ **დახმარება ხელოვნების მოხუც მოღვაწეთადმი.** საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის პრეზიდიუმმა 13 ივნისის სხდომაზე დაადგინა წინადადება მიეცეს სახალხო განათლების კომისარს შეიმუშავოს პროექტი კულტურის და ხელოვნების დამსახურებულ მოხუც მოღვაწეთა მდგომარეობის უზრუნველსაყოფად.

◆ **მსახიობი აბაშიძე.** საქართველოს ს. ს. რ. რევკომმა, მიიღო რა მხედველობაში დიდი დამსახურება და მოღვაწეობა სამშობლო ხელოვნების წინაშე მსახიობი ვ. აბაშიძისა და ამასთან მისი ხნოვანობა, 13 ივნისის სხდომაზე დაადგინა: წინადადება მისცეს სახალხო განათლების კომისარიატს აიყვანოს ვ. აბაშიძე სახელმწიფოს სრულ ხარჯზე და იზრუნოს მისი ყოველმხრივ უზრუნველსაყოფათ; მიეცეს წინადადება სახალხო სასურსათო კომისარიატს ცალკე დააკმაყოფილოს ვ. აბაშიძე სურსათით და ტანისამოსით და ქალაქის რევკომს კი სასწრაფოთ მიუჩინოს მას ქალაქის ცენტრში ბინა.

◆ **ბრძოლა ეპიდემიურ ავადმყოფობის წინააღმდეგ.** თბილისის რევკომმა 3 ივნისის სხდომაზე მოისმინა რა ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგის ამხ. ვაშაძის მოხსენება თბილისის სანიტარულ მდგომარეობის შესახებ, დაადგინა წინადადება მიეცეს ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას წარმოუდგინოს რევკომს შუამდგომლობა ავადმყოფობის საჭირო საკვებ სურსათის მიცემის შესახებ. იმავ სხდომაზე დაადგინეს ეთხოვოს სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატს მიეცეს აფთიაქებს წამლები და საზოგადოთ დაეჩქაროს ყველა აფთიაქების ნორმალურ მოქმედების აღდგენა. თფილისის დასაცავათ ხოლერასა და სხვა მოარულ სენებისაგან თფილისის რევკომმა დაადგინა შუამდგომლობა აღძრას ლტოლვილების სამშობლოში გაგზავნის შესახებ. მუშათა და მოსამსახურეთა კვების საკითხის გადასაწყვეტად თფილისის რევკომმა დაადგინა დაარსოს სპეციალური კომისია ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებისა, კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის, სასურსათო სახალხო კომისარიატის წარმომადგენლების მონაწილეობით.

◆ **ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა რევიზია და ინსტრუქტორობა.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან ეწყობა საგანგებო საუწყებათა-შორისო კომისია, რომელშიაც შედიან სამ სამი წარმომადგენელი შ. ს. ს. კომისარიატიდან, მუშათა და გლეხთა ინსპექციიდან და მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატიდან, საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მიერ დანიშნული პირის თავმჯდომარეობით. ამ კომისიის მიზანია რევიზია და ინსტრუქტორობის გაწევა ადგილობრივ ხელისუფლების ყველა ორგანოსათვის კომისიას მინიჭებული აქვს საგანგებო უფლებები.

◆ **გლეხების ზარალის გამორკვევა.** შ. ს. ს. კომისარიატის მიერ გორის და შორაპნის მაზრის ქართველების ზარალის გამოსარკვევად გაგზავნილმა კომისიამ, დაასრულა მუშაობა. გამოძიება შეეხო იმათ, რომლებიც მენშევიკების მთავრობამ ჩაასახლა სამხრეთ ოსეთში და გადასახლდნენ აქედან თებერვლის გადატრიალების შემდეგ. შინ. საქ სახალხო კომისარიატს საჩქაროთ მოჰყავს ცნობაში, თუ რამდენი ერგება ასანაზღაურებელი თანხიდან თითო გლეხს. ს. ს. ს. რესპუბლიკის რევკომიდან ამ მიზნისთვის გადადებულია 300 მილიონი მან. ამ თანხის მიღებისათანავე კომისია შეუდგება დაუყონებლივ მის დარიგებას.

# ხელოვნება

დღეს განმეორებით წარმოდგენილ იქნება ოპერა „კარმენი". კარმენის როლს ასრულებს რუსეთიდან ჩამოსული მომღერალი ქალი **ტენმნიკოვისა.** ოპერაში მონაწილეობენ ჩვენი თეატრის საუკეთესო ძალები: **ვანო სარაჯიშვილი, ინაშვილი, დემიანენკო** და სხვ. ოპერა ფასიანია და იმართება მუშა მოსამსახურეთა კოლექტივის მიერ.

ხვალ, 23 ივნისს უკანასკნელად ამ სეზონში წარმოდგენილ იქნება „კარნავალი"—ბალეტი მიხ. მორდკინისა. წარმოდგენა აგრეთვე ფასიანია და იმართება კოლექტივის მიერ.

ამ წარმოდგენებით თავდება წლევანდელი სეზონი და თეატრში იწყება შეკეთება შენობისა და მეცადინეობა მომავალ სეზონისათვის.

# საქართველოს წარმოებითი პროფკავშირების კონფერენცია.

**მეორე დღე. ივნისის 13 1921 წ.**

საღამოს სხდომა

**სამანდატო კომისიის მოხსენება.** საღამოს სხდომა ამხ. ლეჟავას თავმჯდომარეობით გაიხსნა. უპირველესად ყოვლისა წაკითხულ იქმნა სამანდატო კომისიის მოხსენება.

ამხ. სეროფიანი სამანდატო კომისიის სახელით აცხადებს, რომ კომისიაში შემოვიდა და განხილულ იქმნა გადამწყვეტ ხმის მქონე დელეგატთა მანდატები: 213 წარმომადგენელი 81 ორგანიზაციისა, აქედან—140 ქართველია, 37 რუსი და დანარჩენი სხვა ეროვნებისა: ყრილობას სათათბირო ხმით ესწრება 17 ორგანიზაციის 18 წარმომადგენელი. ასე რომ კონფერენციაზე მონაწილეობას იღებს 98 ორგანიზაციის 231 წარმომადგენელი.

ამხ. კონიაშვილი შეეკითხა სხდომას, თუ რად არ აძლევთ სოციალისტურ კულტურის კავშირის წარმომადგენლებს გადამწყვეტი ხმის უფლებასო.

ამხ. ოდილავაძემ განმარტა, რომ ეს კავშირი წარმოებით პრინციპებზე არ არის აგებული და ფაქტიურად იგი არ არსებობს, ასე რომ სრულიად ბუნებრივია, თუ წარმომადგენლებს მხოლოდ სათათბირო ხმა მიეცათ.

დადგენილია, ამხ. კონიაშვილის მიერ აღძრული საკითხი განსახილველად გადაეცეს სამანდატო კომისიას, ამის შემდეგ კრებამ სამანდატო კომისიის მოხსენება დაამტკიცა.

**მოხსენება პროფკავშირთა საბჭოს საქმიანობის შესახებ.**

პროფკავშირთა საბჭოს საქმიანობის შესახებ მოხსენებით ამხ. ყურულაშვილი გამოდის—ჩვენი მუშაობა, სთქვა ამხ. ყურულაშვილმა, დაიწყო მიმდინარე წლის მარტის 12-დან. სწორეთ მაშინ, როდესაც ჩვენს საქმეს შეუდგეთ, ჩვენს წინაშე იყო მხოლოთ ნაშთი 36 პროფკავშირისა. არ არსებობდა მტკიცე ორგანიზაციები. და აი, ჩვენ დავიწყეთ საორგანიზაციო მუშაობა და ამ 36 კავშირიდან ჩვენ 21 მწარმოებელ კავშირის შექმნა გადავწყვიტეთ. დღემდე დაარსებულია 26 კავშირი, ამათგან ზოგიერთი მათგანი წინათ არ არსებობდა, როგორც მაგალითად კავშირები: მიწისა და ტყისა, ადგილობრივი ტრანსპორტის მუშებისა და სხვა და სხვა. ერთი კავშირი დარჩა დაუარსებელი. ეს არის სოციალისტურ კულტურის მუშათა კავშირი.

ჩვენ ვმოქმედობდით არა მარტო თბილისში, არამედ—რადგანაც პრეზიდიუმში 7 წევრი შედიოდა, ჩვენ კავშირებიდან გამოვყავით რამოდენიმე კაცი, გავარონიეთ მათ მოკლე ვადიანი კურსები და ადგილებზე გავგზავნეთ. ამ მუშაობის შედეგი ჩვენს თვალწინ სდგას—აქ იმყოფებიან სახელმწიფოს ყველა კუთხის ფოსტის წარმომადგენლები. საერთოთ საჭიროა აღინიშნოს, რომ პროფკავშირთა საბჭომ შეასრულა დიდი საორგანიზაციო მუშაობა. გამომუშავებულია კავშირთა საორგანიზაციო სქემა. სხვა და სხვა ინსტრუქციები და სხვა ამ გვარი; შედგა პრეზიდიუმის 42 სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა 263 საკითხი, პროფკავშირთა საბჭოს პლენუმმა 10 სხდომა გამართა და 2 საკითხი განიხილა. ამას გარდა მოწვეულ იყო მთელი რიგი საგანგებო თათბირისა. დაარსებულ იქნა სამეურნეო ქონების დასაცავათ და აღსარიცხავათ; მიღებულია ზომები, რათა არც ერთ წარმოებაში მუშაობა არ შეჩერდეს. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმში ჩვენი 2 წარმომადგენელი მუშაობს და საზოგადოების მ. უ. ს. პრეზიდიუმის კანდიდატურა ჩვენ მიერ არის წამოყენებული ს. მ. უ. საბჭოს ყველა განყოფილებაში იმყოფებიან პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენლები.

48 კაცი, მხოლოდ არ არის ჩვენი წარმომადგენელი სამთო განყოფილებაში, რადგანაც ჯერ კიდევ ორგანიზაციულად არ შეკავშირებულან სამთო მადნო მომუშავენი.

მუშაობა სწარმოებდა აგრეთვე მუშათა მომარაგების დარგში. აქ ჩვენ დაგვჭირდა ზომების მიღება, რომ მუშათა მასაში გამოგვეწვია ფართო თვითმოქმედება. საანგარიშო ხნის განმავლობაში მოეწყო 23 მუშათა სასადილო, სადაც 11,000 კაცი სადილობს, 32 სასადილო მოსამსახურეთათვის, რომელიც აძლევს დღეში 14,600 კაცის სადილს და 6 საბავშვო სასადილო, რომელშიაც დღეში 2300 ბავშვი სადილობს. ყველა ამ სასადილოებს განაგებს პროფკავშირები. ამის გარდა მუშების ბავშვებს 3 წლამდის ურიგდებათ რძე შვიდ საუბნო პუნქტში. ამ პუნქტებში ყოველ დღე რიგდება 12,000 კრუშკა რძე.

პროფსაბჭოს წარმომადგენლები შედიან აგრეთვე სასურსათო სახალხო კომისარიატში, სახალხო და საზოგადო გამოკვების განყოფილებებში. ამ ჟამად მიღებულია ზომები მუშებისა და მოსამსახურეების უზრუნველსაყოფად ტანისამოსით, რადგანაც ტანისამოსის საწყობები სხვა და სხვა უწყებების განკარგულებაში იყო, აქამდის არ შეიძლებოდა ეს საქმე სწორე საფუძველზე დაგვეყენებია. ამ ჟამად ყველა საწყობები გადაცემულია სასურსათო სახალხო კომისარიატში და მომარაგების საქმე ერთ ხელში იმყოფება, რაც ძალიან აადვილებს ტანისამოსის დარიგების საქმეს. ჯერ-ჯერობით დარიგდა 500 კომპლექტი ტანისამოსი და ფეხსაცმელი.

პროფ. საბჭომ მოაწყო შესაკეთებელი სახელოსნო, რომელმაც მაისში დააზადა 1,000 წყვილი, მომავალში განზრახულია წარმოება იქამდის გაფართოვდეს, რომ დამზადდეს 3,000 წყვილი თვეში. ამ დღეებში მოხდა შეთანხმება აბანოებთან და მაშინ ფიზიკურად მომუშავეებს უფლება ექნებათ აბანოთი ისარგებლონ კვირაში ერთხელ, ხოლო მოსამსახურეებს ორ კვირაში ერთხელ. წელს დაგვიგვიანდა მუშათა ბოსტნების მოწესრიგების საქმე. საბინაო საკითხში შემდეგი გაკეთდა: აღრიცხულია 210 სახლი, მათში 10 სრულიად გასუფთავებულია, 108 დასუფთავების პროცესშია. განზრახულია იქ გადაასახლონ 2,000 ოჯახი 8,000 სულით. ჯერ გადასახლებულია 400 ზე მეტი ოჯახი. ამას გარდა ვეძებდით ბინებს, ბიბლიოთეკისთვის, კლუბებისთვის და სასადილოებისთვის. დიდი საქმე გაკეთდა სატარიფო საკითხში.

ჩვენ მემკვიდრეობად დაგვრჩა მრავალი სხვა და სხვა ტარიფი. ჩვენ ავიღეთ რუსეთის ტარიფი და ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით გამოვიმუშავეთ ერთი საერთო ტარიფი, რომელიც დაამტკიცა რევკომმა და შემოღებულია ყველგან ამ ჟამად სწარმოებს მუშაობა მუშაობის ხელფასის ნატურალიზაციის დარგში.

კულტურულ-განმანათლებელ დარგში ჩვენ მოვახდინეთ წერა-კითხვის უცოდინართა აღრიცხვა, გახსნილია 14 სკოლა, მოეწყო მუშათა კლუბი. მაისში დარიგებულ იქმნა 57,00 თეატრის ბილეთი გრუკავროსტას საშუალებით ვღებულობთ გაზეთებს და ვარიგებთ კავშირებს შორის, პროვინციაში იგზავნება მხოლოდ ჩვენი ლიტერატურა, გავრცელებულია 17,000 ბროშიურა. საგამომცემლო განყოფილებამ და სარედაქციო კოლეგიამ გამოსცეს 3 ბროშიურა ქართულ ენაზე და სამი რუსულზე. გამოცემულია აგრეთვე ორი ჟურნალი ქართულ ენაზე და ორი რუსულზე და 6 ნომერი გაზეთისა. განზრახულია გაზეთი გამოვიდეს კვირაში ორჯერ.

სასტატისტიკო განყოფილებამ ორი თვის განმავლობაში მოახდინა გამოკვლევათა მთელი რიგი. შემუშავებულია ფორმა, ანგარიში და სხ. წინად სრულიად არ იყო ცნობები, არც კავშირთა რაოდენობისა, არც შეკავშირებულ მუშათა, ეხლა კი ჩვენ ვიცით, რომ ქ. თფილისში გაერთიანებულია 45,000 მუშა. შრომის კომისარიატთან ერთად ჩვენ მოვაწყვეთ შრომის დაცვის განყოფილება, რომელმაც შეიმუშავა შრომის ინსპექციის სქემა, გამომუშავებულია დებულებები საბავშვო შრომის, ქალთა შრომის დაცვისა, მუშაობის დროის, შეღავათების და სხვ. საავადმყოფო კასსა ჯერ-ჯერობით დარჩა, რადგანაც სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატი ჯერ კიდევ მოწყობილა და ჩვენ არ ვუსურვეთ მუშებისთვის და მოსამსახურეებისათვის დახმარება მოგვეკლო.

უახლოეს დღეებში, კონფერენციის შემდეგ, მოწვეული იქნება ფაბრიკა-ქარხნების კრება, კასის გამგეობის ასარჩევად. გადასახადი მუშების მაგიერ გადატანილია აწარმოებლებზე და სახელმწიფოზე. მთლად პროფსაბჭოებზე დახარჯულია 51 მილიონი; ამათგან 10 მილ. სუბსიდია თბილისის და პროვინციების კავშირებში და 10 მილ. მუშათა სასახლეებზე თბილისსა და ფოთში.

ათავებს რა თავის ანგარიშს, ამხ. ყურულაშვილი აცხადებს: რასაკვირველია, ჩვენ არ ვიტყვით, რომ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც საჭიროა, მაგრამ გავაკეთეთ ის, რაც შესაძლებელი იყო (ტაში). მთელ რიგ დელეგატების წინადადებით კრებამ დაადგინა კამათი მოხსენებების შესახებ არ გახსნას, წინადადება შემოდის სარედაქციო კომისიას გადაეცეს თეზისები ამხ. ყურულაშვილის მოხსენების რეზოლიუციის გამომუშავების დროს სახელმძღვანელოდ.

სხდომის დახურვამდე ამხ. თალაკვაძე კონფერენციის დელეგატთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ დილაობით 9 საათიდან ფრაქციის სხდომები გაიმართება, ნასადილევის 4 საათზე კი კონფერენციის სხდომები.

სხდომა ინტერნაციონალის სიმღერით იხურება.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 136, თეატრი „[illegible]". ტელ. 1—33.

— მე-2-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-ე რაიონის ბიურო—[illegible], კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—[illegible] მე-5-ე რაიონის ბიურო—[illegible].

— საქ. ახალგ. კომუნისტურ [illegible] ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

# განცხადებანი

**პარტიული.**

საქ. კ. პ. თ. ბ. ორგანიზაციის მე-4 რაიონის პრეზიდიუმი აცხადებს ყველა ამხანაგების საყურადღებოთ, რომ ოთხშაბათს 22 ივნისს, საღამოს 6 საათზე მეოთხე რაკომის დარბაზში (ოლღის ქ. 29) შესდგება შეერთებული თათბირი კომიაჩეიკების პასუხისმგებელ მდივნებისა და აგრეთვე მე-4 რაიონის კომიაჩეიკის მუდმივ ხელმძღვანელთა. დასწრება აღნიშნულ ამხანაგებისა პარტიულ დისციპლინის წესით სავალდებულოა.

—

ამხ. გრიშა ბლექსაშვილს. თბილისის მაზრის კომიტეტი კომპარტიისა წინადადებას გაძლევთ დღეის რიცხვიდან სამი დღის განმავლობაშიდ გამოცხადდეთ თბილისის მაზრის კომიტეტში.

თ. ს. კ. მდივანი: ჯანელიძე.

თ. ს. კ. საქ. მმართველი: ვალ ლეჟავა.

გაუბედურებული დედა ბაბილინა და დაი ქეთო აბაშიძეები აუწყებენ ამხანაგებს, ნათესავებს და ნაცნობ მეგობრებს მათი ძვირფასის

**ვასო აბაშიძის**

დაკარგვას რომლის დაკრძალვა მოხდება ოზურგეთში.

შუშანა, თამარა და ტენგიზ ელენტები აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობ მეგობრებს მათი ძვირფასი დეიდაშვილის და ამხანაგის

**ვასო აბაშიძის**

უდროვოთ, დაკარგვას დაკრძალვა მოხდება ქ. ოზურგეთში.

კვირას, 19 ივნისს გარდაიცვალა

**გაბრიელ გიორგის ძე ჭინჭარაძე**

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მეუღლე პელაგია, შვილები: ელენე, გიორგი, მოსო, შალვა და ირაკლი. გამოსვენება დღეს, ოთხშაბათს დილის 9 საათზე ბინიდან ელისაბედ ს ქ. № 148 კუკიის წმიდა ნინოს ეკლესიაში, სადაც წირვის შემდეგ მ ხდება დასაფლავება.

## საქ. კომ. პარტ. თბილისის კომიტეტი

აცნობებს კომპარტიის, პროფკავშირების, ახალგაზრდათა კავშირების, ზ ვკომების და ფაბკომების წევრებს, რომ ოთხშაბათს 22 ივნისს საღამოს 6 საათზე სახელმწიფო საოპერო თეატრის შენობაში შესდგება საზეიმო პარტიული სხდომა მე-3 კომინტერნის მე 3 კონგრესის აღსანიშნავად.

## ჟურნალი „ლახვარი"

ახლო მომავალში გამოვა სალიტერატურო და იუმორისტული ჟურნალი „ლახვარი".

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკურ განათლების სააგიტაციო განყოფილებაში (ლორის—მელიქოვის ქ. № 5).

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, [illegible] ქ. № 6